

TRAVELS OF ILIA ALKHAZISHVILI IN JAVAKHETI  
(HISTORICAL-ETHNOGRAPHIC REVIEW)

ილია ალხაზიშვილის მოგზაურობები ჯავახეთში  
(ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა)

TAMAR GOGOLADZE

Doctor of Philology, Professor  
of Gori State University, Faculty of Humanities,  
Chavchavadze St. 53, Gori 1400, Georgia  
e-mail: [tamilagogoladze@gmail.com](mailto:tamilagogoladze@gmail.com); +995577251272  
<http://orcid.org/0000-0003-0450-2924>

**Abstract.** Along with the development of ethnography, the need to get to know the customs of the inhabitants of different parts of Georgia, to study their customs and traditions, contributed to their description in the texts of travel, in particular, the travel genre, which has been going on since the second half of the 19th century. From this point of view, it is interesting to study in the ancient part of South Georgia, in Javakheti. It is unknown, but it is noteworthy that the travels of the naturalist, folklorist and ethnographer Ilia Alkhazishvili (1853-1921), a well-known public figure of the period, in the regions of Akhalkalaki and Akhaltsikhe, the impressions of his travels ("Traveler's Letters" and other names) were published from time to time in "Iveria" and "Droeba" since 1893.

Impressions of travels are written in beautiful literary Georgian, artistically and contain a lot of information about the nature, flora and fauna of Javakheti, as well as notes on common customs, although not mostly, the identity, origin and age of the recorder.

**Key words:** Ilia Alkhazishvili; trip to Javakheti; Tabatzkuri; Tavpharavani.

თამარ გოგოლაძე  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
საქართველო, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #53, 1400,  
[tamilagogoladze@gmail.com](mailto:tamilagogoladze@gmail.com); +995577251272  
<http://orcid.org/0000-0003-0450-2924>

**აბსტრაქტი.** საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა წეს-ჩვეულებების გაცნობის, აღნუსხვა-პუბლიკაციისა შესწავლის აუცილებლობამ, ეთნოგრაფიის განვითარებასთან ერთად, ხელი შეუწყო მოგზაურობის, კერძოდ სამოგზაურო ჟანრის ტექსტებში მათ აღწერასაც, რაც, ძირითადად XIX საუკუნის II ნახევრიდან მიმდინარეობს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სამხრეთ საქართველოს ძველთაძველ კუთხეში, ჯავახეთში, მოგზაურობები. უცნობია, მაგრამ საყურადღებოა ამ პერიოდის ცნობილი საზოგადო მოღვაწის ბუნებისმეტყველის, ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფის ილია ალხაზიშვილის (1853-1921) მოგზაურობები ახალქალაქისა და ახალციხის რეგიონებში, მოგზაურობების შთაბეჭდილებები („მგზავრის წერილების“ და სხვა სახელწოდებით) დროდადრო იბეჭდებოდა „ივერიასა“, „ჯეჯილსა“ და „დროებაში“ 1893 წლიდან.

აღნიშნული მოგზაურობები ხშირად ჯგუფურად მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდა ივანე როსტომაშვილი, რომლის მიერ ჯავახეთის ისტორიული ძეგლების აღწერილობა თავისებური, უნიკალური დოკუმენტებია, რომელიც იბეჭდებოდა კრებულში „Сборник материалов для описания племени и местности Кавказа“ (1898 г. №25).

სტატია მიზნად ისახავს სწორედ იმ ეთნოგრაფიული ჩანაწერების წარმოჩენას, რომლებიც ჩაწერილი იქნა ილია ალხაზიშვილის მიერ თავისი მოგზაურობების პერიოდში.

მოგზაურობების შთაბეჭდილებები დაწერილია მშვენიერი სალიტერატურო ქართულით, მხატვრულად და შეიცავს რა უამრავ ინფორმაციას ჯავახეთის ბუნებაზე, ფლორასა და ფაუნაზე, ასევე ჩანაწერებსაც გავრცელებული წეს-ჩვეულებებზე, თუმცა არაა დაფიქსირებული, ჩამწერის ვინაობა, წარმომავლობა, ასაკი.

**საკვანძო სიტყვები:** ილია ალხაზიშვილი; მოგზაურობა ჯავახეთში; ტაბაწყური; თავფარავანი.

**შესავალი.** როგორც ილია ალხაზიშვილის თხზულებათა „ჯავახური ლეგენდები“ წინასიტყვაობის ავტორი ღვაწლმოსილი მეცნიერი შოთა ძიძიგური წერდა: „ილია ალხაზიშვილი სისტემატურად მოგზაურობდა მესხეთ-ჯავახეთის სოფლებში და გულმოდგინედ სწავლობდა ამ მხარეს... იგი შესანიშნავ დამკვირვებლობას იჩენს ეთნოგრაფიული სინამდვილისადმი...“ (ალხაზიშვილი, 1978:8).

მას მოჰყავს 1909 გაზეთ „განათლებაში“ გამოქვეყნებული ლუარსაბ ბოცვაძის ციტატაც: „ეს წიგნი („ბუნება და ცხოვრება“) ბევრს საყურადღებო, საჭირო სამეცნიერო და საეთნოგრაფო

ცნობებს შეიცავს“ (ბოცვაძე, #1, 1909:122). ამასვე აღნიშნავს ილია ალხაზიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მონოგრაფიის ავტორი მელანო გოგოლაძე: „ილია ალხაზიშვილის „ჯავახურ ლეგენდებში“ ჩვენ სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ადამიანებს ვხვდებით: ქართველებს, სომხებს, ებრაელებს, ბერძნებს, ქურთებს და ა.შ. ავტორი თვითონაც კარგად იცნობს და, რა თქმა უნდა, მკითხველსაც საინტერესოდ აცნობს ამ ხალხის ცხოვრების წესებს: ჩაცმულობას, ზნე-ჩვეულებებს, სამზარეულოს, ზეპირსიტყვიერებას“ (გოგოლაძე, 2007:118).

ამგვარად, ილია ალხაზიშვილის მიერ აღწერილი ეთნოგრაფიული მასალა გვხვდება როგორც „მგზავრის წერილებში“, „ბუნება და ცხოვრება“, ისე „ჯავახურ ლეგენდებში“. ჩვენი სტატია მიზნად ისახავს ი. ალხაზიშვილის მიერ მოძიებული მასალის (ზოგიერთი ნიმუშის მიხედვით) წარმოვაჩინოთ მათი ეთნოგრაფიული მნიშვნელობა, რაც თითქმის საუკუნის წინ იქნა აღწერილი და დღესაც არ დაუკარგავს თავისი ისტორიული მნიშვნელობა.

**მეთოდები.** სამეცნიერო ნაშრომი ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: წყაროს ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი.

**შედეგები.** ი. ალხაზიშვილის წერილების კრებულში („ბუნება და ცხოვრება“) დაცული მასალა არაა შესრულებული ეთნოგრაფიული ჩანაწერებისათვის აუცილებელი სიზუსტით ჩაწერილი, თუმცა საყურადღებოა მოგზაურის მახვილი თვალით დაფიქსირებული ფაქტების გადმოცემის თვალსაზრისით.

**მსჯელობა.** ილია ალხაზიშვილი 1872 წლიდან მოღვაწეობს ჯერ ახალქალაქში, შემდეგ პერიოდულად ხან გორშია, მერე ისევ ახალქალაქში. პერიოდულად აარსებს აფთიაქებს ჯავახეთის სხვადასხვა ქალაქებსა თუ დაბებში. მაგრამ მისი მოგზაურობების ზუსტ თარიღს მაინც ვერ მივაკვლიეთ ვერც თვით ალხაზიშვილის ჩანაწერებში (რომლის ნაწილიც დაკარგულად ითვლება), ვერც მკვლევართა ნააზრევში, თვით მოგზაურობაც 1893 წლიდან მოყოლებული რომ იბეჭდებოდა ქართულ პერიოდიკაში სახელდებოდა, როგორც „მგზავრის წერილები“, „მგზავრის შენიშვნები“, „მგზავრის ბიჭი“ და სხვ. ილიას შვილის, შალვა ალხაზიშვილის, მიერ შედგენილ კრებულში „ჯავახური ლეგენდები“ გაერთიანებულია თავში „ბუნება და ცხოვრება“, ქვეშ კი მიწერილი აქვს „მგზავრის დღიურიდან“, პირველი ნაწილის პირველ თავს მიწერილი აქვს „მგზავრის განთიადი“. აქვეა პირველი ჩანაწერი ანდაზის გახსნისა, რაც მეჯინიბე ზაქროს საქციელმა გამოიწვია მგზავრების ადრე გამზადებასთან

დაკავშირებით: „მდუმარე სოფელს კარგად რომ გავცილდით, მამლებმა შექმნეს პირველი რიგის ყივილი. ამბობენ (ხაზი ჩვენია - თ.გ.) კარგი მამალი ღამის პირველ საათს არ გადაცდენსო, მართლაც, პირველის შესრულებას სამი წამი აკლდა. მამლის მტკიცე ჩვეულება ანდაზად გადაქცეულა, მამალი რომ უდროოდ დროს დაიცივლებს, თავს მოსჭრიანო“.

ხალხში ჯერ აქამდე ის ცრუ რწმენაა გავრცელებული, ვითომ პირველ მამლის ყივილამდე მთელი ქვეყანა და ზესკნელი ღამე ათასნაირი მავნე და არაწმინდა სულით არის სავსეო და რაწამს მამალი იცივლებს, ყველა წყეული ქვესკნელს მიდისო.

კიდევ ამიტომ ჩვენი მეჯინებე ზაქრო განგებ აგვიანებს. თანაც რაღაცას თავდაღუნულ პირჯვრის წერით ბუტბუტებდა თურმე, ნუ ბრძანებთ, იწყევლებოდა დასწყევლოს სამას სამოცდასამმა წმინდა გიორგიმანო, - ახლა კი მამლის ყივილით ჩვენი ზაქრო გამხნევედა, გამხიარულდა, თითქოს წისქვილის ქვა ზურგს ეკიდა და უკუაგდო“ (ი. ალხაზიშვილი, 1978:18).

აშკარა, აქ, წარმართულ გადმოცემიდან გამომდინარე, ქმედებას მიჰყვება ქრისტიანული წყევლაც, რაც ადამიანის ქმედების თანმდევიცაა, უფრო ქვემოთ და საკმაოდ ხშირადაც ი. ალხაზიშვილს მოჰყავს სხვადასხვა თქმულებანი (რძის გზის, ხარიპარიას, ვენერას დ სხვ. ვარსკვლავების შესახებ) და შემეცნებით, მეცნიერულ ახსნასაც ურთავს თან.

მოგზაურობის მეორე ნაწილში („ტაბაწყურის ტბა“) მინიშნებულია, რომ ტაბაწყურის ტბის სანახავად მარიამობისთვის 30-ში წასულან, თან ქალებიც დაუმგზავრებიათ (უცნობია, ვინ) ერეკლეს ფაეტონით მამაკაცები კი ცხენებით, სოფელ ჭიხარულიდან.

თანამგზავრებს შორის ერთ ჩინოსანს აღწერს ავტორი, ეს „ყოვლად შემძლებელ კოკარდადაა“ დასახელებული, ასევე ვიღაც ფედეც ყოფილა მოგზაურებთან ერთად. ი. ალხაზიშვილი იუმორით აღწერს „კოკარდიანის“ მიერ გლეხებთან უხეშად „გზის გაკვალვას“ ურმების საცობში.

წითელი საყდრის შესახებ ილია ვიღაც ბერიკაცის ნაამბობსაც იშველიებს. აქვე იგი იხსენებს ივანე როსტომაშვილსაც: „ბ-ნ როსტომაშვილმა ჩვენი ნავით გადაიღო წითელი საყდრის ეკლესია და თვითონ სოფელიც.

სამწუხაროდ, სხვა მაზრებში, არავინ მიჰბამა ივანე როსტომაშვილის მაგალითს, რომელმაც მთელი ჯავახეთის არქეოლოგიურნი ნაშთნი ზედ წარწერებითურთ ფოტოგრაფიულად გადაიღო და აღწერა. დარწმუნებული ვარ, არც ერთი სხვა მაზრა საქართველოში ასე სავსებით არ არის აღწერილი და გადაღებული, როგორც ჯავახეთია,

რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია სამშობლოსათვის დაუღალავი მოღვაწე ივანე როსტომაშვილი“ (ალხაზიშვილი, 1978:56). მართლაც, რუსულ კრებულში («Сборник материалов для описания местности и племени Кавказа», 1898, №85) გამოქვეყნებული ივანე როსტომაშვილის მასალა, რომელიც შემდგომში ქართულადაც დაბეჭდილა, ჩვენ კი ვისარგებლეთ რუსული პუბლიკაციით 1898 წლის #25-ში კრებულის პირველ განყოფილებაში შედის „Ахалкалакский уезд к чтению надписей древней Джавахетии и картой“) И.П. Ростомова. მას თან ახლავს ექვთიმე თაყაიშვილის შენიშვნა-შეფასება (ხაზი ჩვენია -თ.გ.). აშკარაა, ილია ალხაზიშვილს ი. როსტომაშვილთან ერთად (რომელიც მოგზაურობის დროს) მოუვლია აბული, ტაბაწყური, თავფარავანი, ფოკა, ბარალეთი და სხვ.

ერთგან (მესამე ნაწილში) ი. ალხაზიშვილი აღწერს იმ მალამოს დამზადების წესს, რომელსაც აქაურები ხშირად იყენებენ ჭრილობის სამკურნალოდ: „ღორის მუცლის ქონი (უმარილო, ახალი, ფიჭვის კევი და თაფლის სანთელი, ყვითელი, უფრო მცოდნე ექიმები კი ფიჭვის კევის მაგიერ თირამინდს (*Terebinthina veneta*) ხმარობენ. ამ საგნებს, ნელ ცეცხლზე, ტაფაზე ადნობენ და შეიქმნება მალამო, ამავე მალამოს ზოგჯერ ავაჯუასაც (მცენარეა) უმატებენ, რის გამოც წითელი ფერი გამოდის“ (ალხაზიშვილი, 1978:12).

როგორც ზემოთ ითქვა, აქაც არაა დაფიქსირებული, ვისგან ჩაიწერა მოგზაურმა.

აბულის მთის დახასიათებისას ი. ალხაზიშვილს, მოჰყავს რა იქ ნათქვამი: ლექსი, ხსნის, რატომ უნდა გამოეთქვათ იგი მთის მდებარეობის შესაბამისად და უმატებს იმ ფაქტსაც, რომ აბულის მთა „ჯავახეთისათვის ნამდვილი ბარომეტრია - ამინდის მაჩვენებელი“.

ნაშრომის მეოთხე ნაწილშიც ასევე განმარტებულია თავკვეთილასა და შავნაბადას ეტიმოლოგია.

ი. ალხაზიშვილი მეხუთე ნაწილში წალკასა და მის მცხოვრებთა ისტორიასაც გვამცნობს: „აქაურმა მოსავალმა თუმცა მაღალი ყანა იცის, მაგრამ მეტადრე წვიმიან ზაფხულში გიჟი პური მოდის, ამ მათრობელა პურს აქ დალიჯას ეძახიან თათრულად და, თუ გაჭირვებული არა, სხვა არავინ ჭამს (ვფიქრობთ, აქ მახობლიან პურს ხომ არ გულისხმობდა ავტორი? - თ.გ.) თან იმასაც ქერნარევს აცხობენ, ამგვარად, წალკელი გლეხი უფრო საქონლის მოშენებას მისდევს და მეტადრე თუშურ ცხვარს ინახავენ თუშებისავე წესზე. ტყე საციციანო წალკას ახლო აქვს, მაგრამ ეს ტყე ეძვირებათ და საწვავად უფრო წივას ხმარობენ“ (ალხაზიშვილი, 1978:98). სხვადასხვა სოფლებში (ქუმბათი, თავქილისა, სანთა, ბემტაშენი, იბილა) ბერძნულად ლაპარაკობენ, ავრანელები, ჯინისელები, გიარაქელები და შიბაქელები

სომხურად და თათრულად მეტყველებენ, დედაენად ამ ბერძნებს სომხური აქვთ, დანარჩენები კი თათრულად ლაპარაკობენო.

მდ. ქცასთან სოფელი რეხა მდებარეობდა. მისი მცხოვრებნი ქართველები კი არიან, მაგრამ ქართულის მაგიერ თათრულად ლაპარაკობენო. ბერძენი მღვდელი ეკლესიაში ბერძნულად წირავს, მაგრამ თვითონაც არ ესმის, რასა სწირავს, რადგან ბერძნული ლაპარაკი არ იცის, მრევლს ქადაგებასაც თათრულად უთარგმნის და აქვე ავტორი აღდგომის მილოცვის წესს ასე გადმოგვცემს:

„ხრისტოს დირილდი“ (ქრისტე აღსდგა)

ჰაი! ჰაი! დირილდი (ჭემმარიტად აღსდგა)

მერე ბერძნულად დაეწყოთ:

„ხრისტოს ანესტი!“

„ალითოს ანესტი!“

დღეს კი ქართულად, სამშობლოს ენაზე ულოცავენ ერთმანეთს აღდგომას, თუმცა თათრულ-ბერძნულსაც ურევენ ხოლმე“ (ალხაზიშვილი, 1978:100).

ავტორი რეხელების გვარებსაც ჩამოთვლის: ხუციშვილი (ახლა ქეშიშ-ოღლი), კოვზიაშვილი, საბაშვილი ანუ საბაანი, მინაძე, მიქაძე, მურვანიშვილი (ეხლა მურვან-ოღლი), ზანდალაშვილი და სხვ.

საოცარ გულისტკივილს გამოხატავს ი. ალხაზიშვილი ამ რეგიონის ყოფის აღწერისას: „...ვიფიქრე სულ არარაობას წამლად ხომ მაინც დარჩენილა ქართველობა წალკაში! მაგრამ ისე თქვენი მტერი და დამაწყევარი დაღონდეს, როგორც მე ამ რეხელების ნახვამ დამაღონა, აჰა, შენში ნაფლეთები, მრავალტანჯულო საქართველო!“ (ალხაზიშვილი, 1978:99).

„დღეს რეხელები ჩვენთვის აშკარა მაგალითს წარმოადგენენ ენა დაკარგული ერისას. რეხელების ამბავი საქვეყნოდ დაღადებს, ცოცხალ ნიმუშს წარმოგვიდგენს ერის ძალმომრეობით გადაგვარებისას (ალხაზიშვილი, 1978:104).

„იმ დროს კი, როდესაც თავშეხვეული, სარუხიანი ქართველი მაჰმადით დედა ენაზე ქართულად მესაუბრება, რაღაც საიდუმლო ზეგარდმო ძალა ანდამატივით მისკენ მიზიდავს, წამსვე გრძნობს გული მისადმი სიმპათია-სიყვარულს, სიბრალულ-სინანულს და თვალეები თან სიხარულის ცრემლებით ივსება“ (ალხაზიშვილი, 1978:106).

ასე ასკვნის ქართველი მოღვაწე: „შეიძლება, მკითხველო, არცკი დაიჯერო, რომ ნამდვილი საქართველო ეს ზემო ქართლია და ქართველი ხალხი, ზოგი გამაჰმადიანებული,

ზოგს გაკათოლიკებელ-გასომხებული ხუთჯერ მეტია, ვიდრე ახლანდელ საქართველოში“ (ალხაზიშვილი, 1978:107).

მეხუთე ნაწილით სრულდება წიგნი „ბუნება და ცხოვრება“, რომელიც მისმა შთამომავალმა შალვა ალხაზიშვილმა შეიტანა კრებულში „ჯავახური ლეგენდები“ პრესაში გამოქვეყნებული წერილების მიხედვით (ხელნაწერების ვერმოდების გამო), ამიტომ ადვილი შესაძლებელია, ვერ იყოს სრული სახით წარმოდგენილი, მაგრამ ინფორმაცია, რომელიც გამოქვეყნებულ ტექსტშია მოცემული, მაინც იძლევა შემსწავლელთათვის საჭირო მასალას. რაც შეეხება სუზუსტეს, ჯავახეთში გავრცელებულ წეს-ჩვეულებებზე, ხარვეზიანია, თუმცა მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული როგორც ფოლკლორისტიკის, ისე ეთნოგრაფიის თვალსაზრისით.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ალხაზიშვილი, ი. (1978). „ჯავახური ლეგენდები“. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
- გოგოლაძე, მ. (2007). *ილია ალხაზიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა*. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი.
- Сборник... (1898). *Сборник материалов для описания местности и племени Кавказа*. №25, Тифлис.

### REFERENCES

- alkhazishvili, i. (1978). „*Javakhuri legendebi*“ [“*Javakhur legends*“]. Tbilisi: "Meran" publishing house.
- gogoladze, m. (2007). *ilia alkhazishvilis tskhovreba da moghvats'eoba* [Life and work of Iliia Alkhazishvili. National Museum of Georgia]. sakartvelos erovnuli muzeumi. iv. javakhishvilis sakhelobis samtskhe-javakhetis ist'oriuli muzeumi [Iv. Samtskhe-Javakheti Historical Museum named after Javakhishvili].
- Sbornik... (1898). *Sbornik materialov dlja opisanija mestnosti i plemeni Kavkaza* [Collection of materials for describing the terrain and tribes of the Caucasus]. №25, Tiflis.